საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4335
10/08/2022

4335-21-2-202208101111

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
მის: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ. 2
ელ. ფოსტა: Nino.erkomaishvili@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3805 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზიკილიაში საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი, შავი ზღვის 500/400 კვ-იანი რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, ამასთან დასაზუსტებელია სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის და გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია (რაოდენობებისა და ტიპების მითითებით);
- დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ტრანსფორმატორების განთავსების ადგილის ქვეშ მოეწყობა შესაბამისი ზომის ზეთშემკრები, დაზუსტებას საჭიროებს ზეთშემკრების შესახებ ინფორმაცია;
- ქვესადგურის მიმდებარედ ფიქსირდება, სხვადასხვა დინამიკურ მდგომარეობაში მყოფი, სამი მეწყრული სხეული. მათ შორის ქვესადგურის დასავლეთით არსებული ორი მეწყერი, ქვესადგურიდან დაშორებულია დაახლოებით 120 და 150 მეტრით. აღნიშნული მეწყრები სავარაუდოდ ნაყარ გრუნტში უნდა იყოს განვითარებული. მესამე მეწყერი, რომელიც დაახლოებით 200 მეტრითაა დაშორებული,

ქვესადგურის აღმოსავლეთით ფიქსირდება და აზიანებს ქვესადგურამდე მისასვლელ გზას. აღნიშნულ მეწყრულ სხეულებზე, ოპერატორი კომპანიის მიერ, პერიოდულად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში უნდა გატარდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იქნეს სკრინინგის ანგარიშში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო